

თვე	ნაწ.	კ.	დღე	წელი
12	10	6	6	—
11	9	5	5	50
10	8	4	4	75
9	8	3	3	50
8	7	2	2	75
7	6	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაბათი.

ივერია

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებების დასაბუჯებად
უნდა მიმართონ რედაქციის და წესრიგის
გამაგრ. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებას:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე
15 კაპ. მეორეზე—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

„ივერია“

გამოვა 1896 წელსაც
ივერია პროგრავით, როგორც წინადა.

გამეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:

ტფილისი,

„ივერიის“ რედაქციას

ნიკოლოზის ქუჩა, 21.

ქართულთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოებას* კანცელარას,
სახალისო ქუჩა, ბანკის ქუჩისას.

საფოსტო ადრესი:

ТИФЛИСЬ. Редакция „ИВЕРИЯ“.

ვკისრულმ

ყოველ გვარს სასამართლო სამ-
მის, როგორც სამოქალაქოს, ისე
სისხლის სამართლისას, გწერ ყოველ
გვარს არჩევს, ცვირთულად აგრეთვე
გამაულებს ბანკში და ბანკარ-
გებას.

მსურველთა მოკავშირის დაფას 8—10
საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე.
ოქრომჭედლების ქუჩა, სახლი პაპივისა,
№ 30, იქითხე ა. ბ. ახანაშვილი.

კბილის ექიმი J. I. მრგალო

სოლოლაკზე, სახლი № 14—16
ბავშვთაგანს მიიღებს:
დღით 10-დან 2 საათამდე,
საღამოთ 4-დან 6 საათამდე.
ქვირა-შამი ღამეებში
(ღილის 10 საათიდან ნაშუადღევს
2 საათამდე. (166—1891—20)

გამგომად ქართულის დაბა- ტიულის საზოგადოებისათვის

1. მომავალი წლის სტეტი.
2. მოხსენება გამგომებისა შესახებ
თეატრისა.
3. ამორჩევა გამგომების ორის წევრ-
ისა და სამის კანდიდატისა და სა-
რევიზიო კომისიის, ერთის წევრისა
და ორის კანდიდატისა.
4. ახალ წევრთა მიღება.
ეს კრება წესდებისამებრ კანონიერ-
ად ჩაითვლება, მიუხედავად დამწერ-
ებ წევრთა რიცხვისა.

(3—3).

წვირა-კითხვის გამავრცელებლად საზოგადოებისათვის

სამანამდომო კრება

თანამად საზოგადოების წესდების
§ 11-ის, დანიშნული 29 დღე-
ბისთვის, დღის 11 საათზე, ტფი-
ლისის საზოგად-ანაშურთა ბანკის და-
რბანში, კრება უნდა განიხილოს
შემდეგი საკნები:
1. არჩევა სარევიზიო კომისიისა
მიმდინარე წლის წლიურის ანგარი-
შის შესამოწმებლად;
2. არჩევა კომისიისა, რომელ-

მაც უნდა გამოეძინოს საშუალებანი
საზოგადოების ახლანდლის სკოლე-
ბის გასაუფლებლად და ახლების
დასაარსებლად;
3. დამატებულის ხარჯის გადა-
ღება
და 4. არჩევა საზოგადოების
ახლის წევრებისა.

(6—5).

ახალი ამბავი

* * * დღეს, 28 ოქტომბერს, ტფი-
ლისის საზოგად-ანაშურთა ბანკის შე-
ნობაში დანიშნული წლიური კრება
ქართულ დრამატულ საზოგადოების
წევრთა. კრება განიხილავს მომავალ
წლის წლის ხარჯთ აღრიცხვასა და
საზოგადოების გამგომების მოხსენებას
ქართულ თეატრის შესახებ. ამავე
კრებაზე უნდა იქნას ამორჩეული
ორი ახალი წევრი საზოგადოებისა
და აგრეთვე ორი წევრი გამგომისა
და სამი კანდიდატი იმ-თვის, ერთი
წევრი და ორი კანდიდატი სარე-
ვიზიო კომისიისა.

* * * წერა-კითხვის გამავრცელებე-
ლის საზოგადოების წიგნის ნაღაზიმ
მიიღო გასასული და თითბრის ბრელო-
კები თამარისა, დავით აღმაშენე-
ბელისა, წმიდა ნინოსი და წმ. მო-
წამთა დავით და კოსტანტინე-
სი, თითო ბრელოკი ღირს შა-
ურად. აქაურმა წურბელა ვაჭრებ-
მა ამიოტი ისარგებლეს და დაწე-
ყეს ხალხს მოტყუება. ზოგიერთ ხა-
მსა და გამოუტყდელს კაცს სამი შა-
ურადღან ოთხ ანაზღად აღდგინებენ,
რადგან აჯერებენ, რომ ის ოქროა
და არა უბრალო თითბარი.

ვაჭრობით მყიდველებს, რომ
კვლავ ღირს მოსტყუდნენ და მი-
პართან ამის შემდეგ პირ და-
პირ ზემოხსენებულ საზოგადო-
ების მაღაზიის. ზემოხსენებულ ბრე-
ლოკები არიან ჩამოსხმული აგ-
რეთვე ვერცხლისა, რომელთა ფა-
სიც 35 კაპ.

ამავე წიგნის მაღაზიაში იყიდება
მშვენიერი ფოსტის ქაღალდები თა-
მარისა, შოთასი, რაფიელ ერისთა-
ვისა და ილია ჭავჭავაძის სურათე-
ბით.

* * * რუსის პოეტი ვ. ლ. ველიჩ-
კო 25 სექტემბერს ტფილისიდან პე-
ტერბურგს წავიდა.

* * * გოლოვინის პროსპექტზე, იქ
სადაც იწყება კალონი ბოლკისა ქუ-
ჩა, რამდენიმე ლუბანაა. ამ ლუბ-
ანებში თითქმის მუდამ დღე ერთი
ალიაქოთი და ორბორბილია გამარ-
თული, მაგრამ ამას, როგორც სჩანს,
არაფერს აქვს უფრადებას. ისე
შესწევია მის ვარშემო მყოფი ხალ-
ხი ამ ყოველ-დღიურ ჩხუბს და უსი-
ამოვნებას, რომ მის თვალწინ კაცი
კაცს რომ წყვიდლოს და არბობდეს,
ხალხი აბაძ-ტუთ მუდამ, პირიქით
აქებებს ამ მოჩხუბართა და შესტე-
რის დიდის სიამოვნებით მათს არა
ადამიანურს მოქმედებას.

ჯღრსება

უღრმესად პატრეგეჟულია ბ-ნი რაფეაქ!
დღის ხნის ნატერა აღსრულდა
და ძლიერ ველიჩკო იმ სისიამოვნო
წუთს, როდესაც ერთ გულახდილად
გეგებება სამშობლოს დირსტულ მოღ-
ვაწეს, რათა განუზაროს მას უაღ-
რესი მადლობა და თანაგრძობა.
მით უფრო გვიხარის ეს წუთი, რომ
სხვა-და-სხვა მიზეზთა გამო საზოგა-
დოდ ვერ გვიხივრებდა ჩვენი მოღვა-
წეებისადმი დირსტული პატივისცემის
გამაშფარავება, რითაც ვაკლებდით მათ
თავის საყოფიერი მოღვაწეობის შე-
დედის ხილვას, ელმა, საბედნიეროდ,
გვეღირსა ამ ხანგრძლივი ნაკლის
აშორების ნიშნები და სიამოვნებით
გეგებებით თქვენს მოღვაწეობის ორ-
მოც-და-ათის წლის შემოღობების
დღეს. სამწუხაროდ, შორს ვართ და
არ ძალგების პირად მოგონდნით
ჩვენი მოლოცვა, მაგრამ ნება უაღრეს-
ით აქედან მაინც ჩვენი უაღრესი
ხმა შევეუბრათ იმ შინა და გულიდამ
მძღველად აღმოსმქადარ მადლობის
და თანაგრძობის ხმას, რომლის გა-
მოსამეღვენებლადაც საქართველოს
მიღამის ყოველი კუთხიდან შეგრო-
ვილან წევრები ოც-და-ორი ღღინო-
ბისთვის საღვთისაწული სუფრებზედ,
თქვენი პოეტური ქმნილებანი, და-
მამშვენებელი ჩვენი სალესო მწერ-
დობლებს, ხეყსურის სამშობლოს*
და „დღე-ენას“, როგორც ყოველი
მოსწავლე ყრმის, ისე მსოფიანი გუ-
ლის გმირების სიამოვნება და თითო-
არსებობის გრძობით გამძსველდეს,
თქვენი სამეცნიერო ნაშრომები, მრავ-
ელი სხვა-და-სხვა საფთოვრადი
წერილები, სახას და საბუნებისმეტ-
ყველო ლესიკონებზედ დახარჯული
მრავალფეროვანი შრომაგამოცდი-
ლებმა, რითაც დირსტული ხელმძღვე-
ლობა გავაწიებთ მთელ საქართველო-
ბას, თანაც თქვენი საზოგადოებრივი
მოღვაწეობა, უბრალოდ, მაგრამ მუდ-
მიერ თქვენი თანაგრძობა-დახმარება
სიყვარულით საზოგადო სპეცში ანე-
ნილი—ყველაფერი ეს სიამოვნებს

გრძობით გვაგებებს ამ შესანიშნავს
დღეს და ყველას ერთი სურვილით
გვერთებს, უაღრესის მადლობით აღ-
საყვ გრძობით მოგლოცით ორ-
მოც-და-ათის წლის სასარგებლო მო-
ღვაწეობის დღესსწავლი და გულსურ-
ვით თქვენს ქარმაგ მოხუცებულთა-
მას ხანგრძლივი დღეგრძელობა ღირ-
სტული მოღვაწეობის განსაგრძობად.
დღეგრძობით თქვენი უგულოდაფსი პატივის-
მცემოვნი!

ა. ხახანაშვილი და მოსკოვის ქარ-
თელი სტუდენტობა.
ველე ქართული საგანმანათლებლო
რეფორმის დეპარტამენტი

ლეთის მადლით ჩვენ უკვე მოვეს-
წარით ისეთ დღეს, როდესაც ქარ-
თელობამ თვლი გაახილა, როდესაც
საც ქართველობა მოქალაქობის გზას
დადგა, განვითარებას დიდი ტრფი-
ლებით გააყვ და დღეს ქართველობა
მთი, ევროპული სწავლა-განათლე-
ბით აღტყვილნი, ჩვენის სამშობლო
ქვეყნის საქმეებს გვერდისა პატივის-
ცემით გეგებენ.

მადლობა დღესთა, დიდად პატრე-
ცემული რაფიელ დავითის ძეგ, რომ
ბოლოს იმ დროსაც მოვესწარით,
როცა ქართველებს (გახილა თვა-
ლები), იცნა თავისი მოვალეობა წი-
ნაშე მამულისა და მასთანვე პატრე-
აგო ისეთ უანგარო მოღვაწე მწე-
რალს, როგორც ბრძანდებით თქვენ.
შეგარბით და ვთხოვ დღეგრძობას,
რომ თქვენი ხსოვნა ყოველ ქარ-
თელს ძალსა და ბრძობაში გახალისო-
დეს და ამ მავალითის მიბაძვით მომა-
წეშიაც გამრავლებულიყვენ თქვე-
ნისთანა სამშობლოს მოღვაწენი და
იმითთვისაც ისეთივე პატრე-ცემს ქარ-
თელებს, როგორც დღეს თქვენ
გვაგებებს და მადლობას გიძღვის
მთელი საქართველო.

თქვენი შრომა ქართველობის წი-
ნაშე მრავალ-ნაირი და მრავალ-ფე-
როვანია. ყველას მათ ვერ ჩამოე-
თვლით აქ, გვიხივრებთ მხოლოდ
ერთ თქვენს შრომას, რომლისთვისაც
ჩვენს ქართველი ფარმაკეტიკის, უღ-
რესეს პატივისცემას და თანაგრძობ-
ბას გიძღვით. ეს თვალ-საჩინო და
ბელოსანი შრომა განხილეთ „ქარ-
თელ-რუსულ-ლათინური ლესიკონი-
ნი“, სადაც შეტყობილია მრავალი
ქართული სხვა-და-სხვა სახელები:
ცხოველთა, მცენარეთა და ლითო-
ნათა სამეფოებისა.

ინც-კი აწინდელს მეცნიერებს
თვალ-ყურს ადგენს, იმს უმევე-
დელ ეცოდინება, რომ ხალხის ცხო-
ვრებაში არც ერთს მეცნიერებას ისე-
თი დიდი მნიშვნელობა არა აქვს,
როგორც მეცნიერებას. ამ აზრისა
გახილვანი მსოფლიო მეცნიერნი, ამ
აზრსავე ღაღადებს კაცობრიობის კე-
თილ-დღეობა.
ამირადგან ჩვენ, ქართველ ფარ-
მაკეტიკს, გვერდევ ხელს იმ თქვენს
მეცნიერ-ისეთი სამეცნიერო იარა-
ღი, რომლითაც შეგვეტლება სამშო-

ბლო ენაზედ დავუწყეთ შეშუშვება
და აღორძინება ბუნების მეცნიერე-
ბას. თქვენ ჩაუდგით საფუძვლიანი ქარ-
თული საბუნებისმეტყველო და სამე-
ცნიერო მეცნიერებას და ჩვენ, ქარ-
თველი ფარმაკეტიკი, ერთი შე-
ერთებული მადლობის გრძობით გა-
ტყველებნი, ვისურვებთ თქვენს
დღეგრძელობას და ბედნიერად ცხო-
ვრებას.

ქართული ფარმაკეტიკი.

ბატონო რაფეაქ!

ქ. განჯისა და განჯის რკინის
გზის სადგურის ქართველობა პატრე-
ვისცემით გლოცავთ ორომოც-და-
ათის წლის გულსწრფელ მოღვაწეო-
ბას ქართულის მწერლობის ასპარე-
ზედ, როგორც ბევრ ქარში მეფის
ქართველ ღვთის გრძობისა და ხა-
სიათის გამომეტყველები.

ჩვენთვის დაუფასებელია ის უან-
გარო შრომა, რომლითაც ემსახურე-
ბით სამშობლო ლიტერატურის ამ
ნახევარის საუკუნის განმავლობაში,
ჩვენის დანაგრულის მომძისადმი გულ-
შემატკობის გამომღვივებელი.

იმ ძვირფასი გრძობა მამულის
სიყვარულისა, რომელსაც თქვენ უგა-
ლობით, ქართველობა გულს მგზნებ-
რედ მოღებული ექნება, ვიდრე
პირში სული უდგიათ.

ქ. განჯა.
22 ოქტომბერი, 1895 წ.

ნროცა სენაკის სასულიერო და
საანაშურთა სკოლისა მასწავლებე-
ლებისაგან მორთმეული ძვენი
გარდასცვა დეპუტატობა იუბილანს,
სენაკის საანაშურთა სკოლის ინ-
სპექტორმა ს. ყიფნაშვილმა შეუდგის
სიტყვით მიმართა მას:

ყოველ გონიერ ქართველთათვის
სასაქაფულო მგოსანს!

დღეს ყველა მასწავლებლები იმ ყუ-
თხისა, სიდიდაც მე განხილეთ, დღის
სიხარულისა, სიყვარულის და მად-
ლობის გრძობით მოგისენებენ და
დღესთა სიხარვედ განაგრძობს თქვენი
სიცოცხლე, სიცოცხლე ჩვენის საყ-
ვარტოს პოეტისა, რომლის ქნარო
ორმოც-და-ათის წლის განმავლობა-
ში დაუღალავად და ნიჭიერად ემსა-
ხურება ქართველთა სამშობლოს.

თქვენ, დავუწყებო მგოსანო, მზა-
ტრეულად გვისურათობით სინამდ-
ვილეს ჩვენი გვირგვინისა და გულ-
სწრფელად გვამცნობდით ჩვენის ერის
ყოველის წლის გრძობას, მაგრამ
განსაუბრებთი როგონული ნყოფ-
ფიერების დირსება მაშინ დაიმსახუ-
რა თქვენმა კალამმა, როცა მან ჩა-
გვახდენდა დაბალი ხალხის ბიჭვის
ცხოვრებაში და დაგვიტყა მისი ტა-
ნჯავა და ყოველ დღე ვარამი. ამ
მიმართულების გამომეტყველო თქვე-
ნი ლესიკონი მოსწავლე ახალგაზღვრის
გულსა და გონებაში ისე ღრმად უნერს,
გვენ სიბრალულს დაზარალებულს

ცხოვრების საღარიბო ღვინო არ მოვიდოდა. იქ, სადაც შუთთანა მოსავლის დროსაც გლეხი უფროდ საშროს, თანამოსახლე ღვინოს სახასიათო ხოლმე ჰქვამდნენ, დღეს გარდა მოიხანა ამ გლეხმა, შუაღვინა ატარებულმა, ყურბანი საწახელში მხოლოდ იმისთვის, რომ მეორე წლამდის ობლაღ არ დაეკარგებინა იგი. თავად შუაღვინა, რამელიც წელიწადში ხუთსა და ექვს ურემს ღვინოს მყოფი და, დღეს იმდენივეა მხოლოდ ხუთი და ექვს სააღრთო მოურეცხოს ჰქვამდნენ ძირი... თვით საგანგებოდ შემუშავებული საფული-სწული მამულობისკი კერ დაეკეხებინა, რომ მოვლამ შეუმავებამ მიწის მიწი ნაყოფი გამოაღებინა, სამეცნიერო საშუალებათ სხვადასხვა ყურანის ავადმყოფობათ ძალა დაუფარგეს და შრომამ ტყუილად არ ჩავიარაო. მაშინ, როდესაც წინა წლებში 400 და მეტი ურემი ღვინო მოსდიოდა საფულისწული უწყებას, წრეულ 30 ურემი არ მოვიდოდა.

აი, როგორს გაქირებებაშია დღეს კახეთი. მერე რით ჰნუგეშობს კახელი? არაფრით. მართალია ჰური მოვიდა და კარგი მოსავალიც იყო წრეულს, მაგრამ რა? კახეთში ჰურს გროშის ფასი დაეღო და სკიფის მსურველიც არაინ არის... აქუერი ფულის პატრონი გუკარ-ჩარჩები სარგებლობენ ზუნების ასეთი სისასტიკით და თუნდად ღირებულში მანეთს არ იძლევიან, თუ-კი დღეს ვასაყიდა რამ ვაჩინა კახელს თავის თუ გლეხს. ერთადერთი საშუალება-და დაპაჩინათ დღეს კახეთის მცხოვრებთა: გაყვილონ რა-კი არ საქონელი მოეძებნებათ, რომ როგორც სული მოიპოვნონ დრომდის, თორემ ვაქრები ჯერჯერობით უტრსაც არ იბერტყენ, ვითომ ღვინო სრულე ბით არ სჭირდებათ, რა არის ის დანაჩენი ნასისხლო-ოფლორი მოსავალი, რომელიც ხელთ შერჩათ, ღირებულზედ ნაკლებ ფასად გამოიტანონ. ერთი სიტყვით, ამაზედ გაქირებულს მდგომარეობას კახეთი აღარ მოეჭრება და შველა და დანაკი არსადიდან უჩანს.

მცირე რევიზია

უკვე წაიკითხავთ ივერისა 230 №-ში „რადიკალის მიმართ“ წერილებში მოთავსებულ წერილს ქართველ ხელოვნება დრამატულ ამბავების შესახებ, როგორც იმ წერილშიც ვგვქმნდა თქმული: ჩვენ, ხელოვნების, გვჭირს წარმოვადგინოთ სახალხოთ პიესები და სხვ. ჩვენს ამბავებში ამის გულისათვის ექირებება ბიბლიოთეკა, განსაკუთრებით დრამატულ თხზულებათ და სხვა თხზულებათა. მართალია ტუროსში არის ბიბლიოთეკები, მაგრამ ჩვენი ხელოვნების ამ ბიბლიოთეკებში იშვიათად დაიარება: ამის მიზეზი ის არის, რომ არა სკლიანთ: სახელოვნებოში დილის 9-დან საღამოს 5 საათამდე ზოგნი 5 საათამდე მუშაობენ. რომ ჰკითხოთ, რატომ არ კითხულობთ წიგნებსა, მოგვებენ: რა ვქნათ შინაკითხვა, ძალიან გულოთაც გვიდა წიგნიკითხვა წიგნები, მაგრამ საშუალება არა გვაქვს; მართალია ბიბლიოთეკა ახლო გავ-

მოვიტანეს, მაგრამ იქაც ვერ მივიღებთ, წიგნები ვერ მოგვცემს იმიტომ, რომ მიკლო არა გვაქვს; საშინაო ბიბლიოთეკა-კი რომ გვქონდეს—გაგანთავ, ყველა სიამოვნებით წაიკითხავით, ამხანაგები ერთმანეთს გადაეცემით წიგნებს და თავისუფლად დროს არ დაეკარგავით უსარგებლოდ.

აი, ამგვარ მდგომარეობაშია ხელოვნება ბედო. ვისაც-კი გული შესტკივა ჩვენთვის—დაგვეხმარონ; საშინაო ბიბლიოთეკა შეგვიადგინონ. ჩვენ ჩვენს შრომას არ დაუზოგავთ ჩვენის მომეთაობა. ჩვენზედ უსარგებლოდ ვაჩინა, ჩვენ იმით ვიცნობთ და ჩვენის ღამბარებით დაეაყენებთ კარგს გზაზედ... გთხოვთ, ავტორებო და წიგნების გამომცემლებო, დაგვეხმარეთ—რითაც-კი შეგიძლიათ. ჩვენი თვის ბიბლიოთეკა უსაქიარესს საგანს შეადგენს.

წარმოდგენების გამგეობანი ხელისანი ი. ხაშველი.

1895 წ. 27 ოქტ.

რუსეთის სსრკ-ისათვის

ფინანსთა სამინისტრომ წარმომწიფო საქმის წინადადება საბოლდინა, საქირო თანხა მიეცეს რუსულ საზოგადოებას და სასწრების ნიმუშების დამზადებისათვის. ს ნიმუშები გავცაზავენთა ყველა სახანო პალატებსა და სასაქო საზოგადო გამგეობათ, რომლებიც-კი საჯარო საზოგადოებას და სასწრების ჰქვამდვენ. ის ნიმუშები, რომლებიც ამ უმადლ აქვთ სახანო პალატებში, ჯერ ისეგ ორმოციდან წლებში დაგეგმვენთ და ამიტომ სიძველის გამო სრულიად გამოუსადეგარი-და არიან.

სავაჭრო და სამანუფაქტურო დეპარტამენტმა ამ დღეებში მიპირათა სამხრეთ სამეურნეო საზოგადოებათ წინადადებით თავისი აზრი წაუფლდინონ იმის შესახებ, თუ რა საშუალება შეიძლება იხმარონ ნამდვილ ღვინოების ქიმიის ღვინით ჭალსიფიკაციის წინააღმდეგ და ან როგორ იმოქმედებდნენ ღვინის მკეთებლობაზედ ის გარემოება, რომ ქიმიის ღვინის დაყენება სრულიად აღკრძალონ.

უცხოეთი

რუსეთში. საკონტრაქტო კომისიის წევრები უკვე არჩეულ იქნენ, ამ კომისიამ, როგორც მკითხველებმა იციან, თვალ-ყური უნდა აღდგინონ რეფორმების განხორციელების სომების პროცენტებში. კომისიის თავმჯდომარეთ დაინიშნა შეჭვა-ყვევარი, რომელიც სასამართლო პალატის წევრად იყო. კომისიის წევრებზედ სამი ქრისტიანი და სამიც ოსმალი.

კონსტანტინოპოლში დიდი საფინანსო კრიზისი: ოროცი მილიონი ფრანკის ექვსილხვა პროცენტის განკლებულნი. ოსმალეთის ქალღმადრები ფაში დეკა. კრიზისი პარისის ბირჟაზედ ვერცხულდება.

პოლიტიკაში კორესპონდ. -ის სიტყვით 7 ათასი კაცი მუღამ იღვინ-

კოსკს იცვენ; კონსტანტინოპოლში სულ 25 ათასი ჯარი სდგას.

ნამდვილ წყაროდგან მტკიცებდება ის ამბავი, რომ აზრუმში მრავალი ქრისტიანი მოუკლავთ და დაუჭრიათ, რომელთა ვინაობა უკვე ცნობილი გარდა იმით, ვინც ისე დაიარაგა, რომ ვერა გაიგონ-რამათი. ქრისტიანთა ამოწყვეტას თან მოჰყვა ძარცვა და გაუბატონებდა მრავალთა. სომხების სახლები მიანგრ-მოანგრები, მადანები დაძარცვეს, მდიდარი ხალხი ულუკმა-პურად და უსახლ-კაროდ დარჩა. ქალაქიდან დაშინებულებმა და ჯარებმა არჩაღვინის მინდრებს მიუშურეს, ქრისტიანთა სოფლებს.

„ნოვოე ვრემიას“ ატკობინებენ ლონდონიდან დემეში, მინისტრთა საქმის ოსმალეთის საშინაო მდგომარეობაზედ ჰქმნად მსჯელობათა. „სტანდარდ“-ი ამბავს, სულთანმა სთხოვა ოსმალეთის შაჰავანის ესკადრის ერთს სომალზედ შეგზავროს თავი იმ შემთხვევაში, თუ კონსტანტინოპოლში რევოლუცია იფეთქება პატარა ოსმალთა პარტიის უკმაყოფილობის გამო.

„ნოვოე სტრ“-ს ატკობინებენ ლონდონიდან დემეში, რომ შაჰირაფა-ს ოსმალეთის სომხეთში გარანიზონების გამოღიერებას თხოულობსო.

იზმლინი. 18 ოქტომბერს ვატფორში სოლსმერში წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიც შეგებო მრავალჯერას საგნებს შინაგან და გარეშე პოლიტიკებს. ის, რაც სოლსმერში წარმოსთქვა გარეშე პოლიტიკის შესახებ, დემეშიში დაწერილებით იყო დასტავებული. პრემიერმა თავისი სიტყვაში განიხილა, როგორ აფერხებენ ზოგიერთი გარემოებანი გარეშე პოლიტიკას და გლდსტინანი ერთი სიტყვითაც აზ გაიხსენია. საკვირველი იყო სოლსმერის გოდება ხორბლეულობის ბაის ვაქუქების შესახებ. სოლსმერის დიდად სწულდა, რატომ წინააღე არ მივიღეთ მხედველობაში, რა შედეგი მოჰყვებოდა ამ ბაის ვაქუქებასო. იმის სიტყვით, თუ პრატეკციონისტების გავითხილებითისთვის გარეგანი უშრადლება მიეცეთა, ესლა ინგლისის მიწათ-მოქმედება ამითანა ვაქიკეობაში აღარ იქნებოდა ჩავარდნილი. სოლსმერის აზრით, უახლოესი საგანი ინგლისის შინაგან პოლიტიკასა სოციალური და ეკონომიური რეფორმებისა, მთავრობა-კავდელს ლონდონის იმბარს მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის და მხარს მისცემს იმ პირთა და საზოგადოებთა, რომელთა მოქმედებაც მიმართულია ამ საგნისკენო. რაც შეეება მიწის შემუშავების გაუმჯობესებასო, ამბობს სოლსმერი, სამინისტრო გააადვილებს მოსახლის ვადატან-გაღმობრანს ჭ გააკეთებს გზებს, რომელთაც დიდი მნიშვნელობა ექნებათ სოფლის მეურნეობისათვისო.

მინეოტი. 7 ნოემბერს ჩინეთი 50 მილიონი ტალს გადაუხდის აზონის საზოგადო საზღვრო კონტრაბუტიდან. ამავე ვადაზედ უნდა წარადგინოს ჩინეთმა 30 მილიონი ტალის ოლიტონის ნახევარ კუნძულის გაუმდინისათვის, რომელიც სამის თვის განმავლობაში უნდა მოხდეს. მეორე

წაწილს სამხედრო კონტრაბუტისის ჩინეთი მომავალ 1896 წლის მისში წარადგინოს, ხოლო დანარჩენის 100 მილიონის ტალის გარდასდა განაწილებული იქნება რამდენიმე წლითა 80 მილიონი ტალის, რომელიც ჩინეთმა 7 ნოემბერს უნდა გადაუხადოს იაპონიას, ინგლისის ბანკში იქმნება შეტანილი. ჩინეთს უკვე დამზადებული აქვს ეს 80 მილიონი ტალის, რადგანაც უკანასკნელ სესხით რუსეთმა 100 მილიონის ვაჩინათა მისცა ჩინეთს. მაგრამ ეს 80 მილიონი ერთხანად არ მიეცეს იაპონიას, რადგანაც ჩინეთს მსურს დაინიშნოს ის ვაჩინებო, რომ 50 მილიონი საზოგადო კონტრაბუტისის ანგარიში შეტქეს, ხოლო 30 მილიონი ლიტონის კუნძულის გასაწმენდა.

სომხების პროპინიტიზმი მოსკოვში

დასარული *)

თავი მეშვიდე.—პოლიტიკა. მუხ. 20.—პოლიტიკის მოხელენი ამიორჩევიან, როგორც მაჰმადიანთაგან ისე ქრისტიანთაგან, მცხოვრებთა რიოდენობის მიხედვით. მუხ. 21.—ადინისტრატულიად დაწარმოებისთვის იქნება აღნიშნული რიცხვი ამ მოხელეების. ამავე ვადად იქნება დანაწილებული ნახევარი. ნახევარში პოლიცია ეკუთვნება მდღისი უწყების და იქნება კომისიონათა უფლების ქვეშ. მისი ფორმა და იარაღი ისეთივე იქნება, როგორც საზოგადოდ არის მიღებული.

თავი მერვე.—განაწმენდა. მუხ. 22.—ქანდამთა ოფიცრები, დენტრ-ოფიცრები და სალდთები მოკრებილ იქნებიან როგორც მაჰმადიანებისაგან, რი ქრისტიანთაგან შედარებით ერთა რიცხვის რაოდენობაში. ქანდამთა შეინახება ვილიეტის ხაზინის ხარჯით. ქანდამთების ჯამაგირი ჯარის-კაცთა ჯამაგირს უნდა აღემატებოდეს და ქანდამთების ოფიცრების ჯამაგირი კიდევ ჯარის ოფიცრების ჯამაგირს.

მუხ. 23.—ქანდამთებმა უნდა დარჩეს საზოგადო წეს-წყობილება და გააცილოს ფოსტა.

თავი IX.—სოფლის პოლიტიკა. მუხ. 24.—ნახის საქმით სოფლის პოლიცია უნდა სხვა-და-სხვა ვარჯიერებებში მოკრება დასტავებული მიღგან შეადგინოს. პოლიციელთა რიცხვი უნდა განსაზღვროს ზედამხედველმა კომისიამ თანახმა თეთიოფრის ნახის საქირობისა. პოლიციელთა რიცხვი დამოკიდებულია აგრეთვე მუღირის მოსხენებაზედ და ვალის წინადადებაზედ. მუნდირებს და იარაღს სამხედრო დეპარტამენტის სერვილისამებრ ატარებენ.

თავი X.—სამხრობაზედ და გამოძიებულა კომიტეტი.

მუხ. 25.—დადგენილებანი შესახებ საპროპინიტიზმისა და მათში შეტყობისა სისწორით უნდა სრულდებოდნენ.

მუხ. 26.—გამომძიებელმა კომიტეტმა უნდა ახელმძღვანელოს საზოგადო ადინისტრაციულის ინსტრუქციით. უნდა თვის თანამდებობას ასრულებდეს სისწორით.

თავი XI.—ქუჩების უწყისკება. მუხ. 27.—ქუჩოების გაღასლო გადმოსასვლელად და სცხოვრებლად ამიორჩევა ერთი ადგილი. ამისთანა-

*) იხ. „ივერია“ № 232.

ვე მხედველობაში მიიღება ისიც, რომ ერთი ადგილიდან მეორეზედ გადასვლა-გაღმოსვლის დროს ზიანი არ მისცენ ადგილობრივ მცხოვრებელთ. ვადასვლა-გაღმოსვლის დროს მათთან იქნება ოფიცერი სამხრო ჯარის კაცთა და ქანდამთა რიცხვით. ოფიცრის თან ეყოლება პოლიციის ქუჩოების ქუჩოებმა უნდა მისცენ მთავრობას გირო კარგის ყოფა-ქცევისათვის-დადგენილება შესახებ იარაღის აღნისა და ბაშოლის კუჩოების შეტება. იმ ტომთ, რომელნიც ერთი ადგილიდან მეორეზედ გადადიან წინადადება მიეცემათ დასახლდნენ, მხედველს დაეხმარება.

თავი XII.—გაყავრება „ჭამადო“. მუხ. 28.—იარაღის და მუნდირების ტრება სამხედროს გარეშე აღკრძა-ბულია. როდესაც იმინი სამხედროში არ არიან, მათ ასამართლებს საზოგადო სასამართლო. მალე გამოვა სამხედრო წესები შესახებ „პატიდისკვალიერისა“.

თავი XIII.—ცისის სიკვლევა.

მუხ. 29.—ივერისის და სანჯაკების უმთავრესი ქალაქებში შესდგება კომისია ციხეების სიკვლევის ვადასისხედ. კომისია ოთხი წევრისგან შესდგება. ორი მათგანი ქრისტიანი იქნება, ორიც მაჰმადიანი. კომისიის თავმჯდომარედ ეყოლება ან არხივე-ბის დირექტორი, ან სახელმწიფო კონსებათა მიხედვით. მათი გარდაწყვეტილება გარდაეცემა განსარჯულად ადინისტრატულს საქმის. სტამბოლიდან ყოველ წელს ვილიეტებში დაგეგმებიან ოთხი დელეგატორა, რათა გამოეკლიონ დასტავოთ თუ არა საკუთრება წესიერად.

თავი XIV.—ფოსტის ფულის მოკრება. მუხ. 30.—თუ ხარჯის მოსაკრებად უშეკველად საქირო იქნება ძალის ხმარება, მაშინ ამისთვის საგანდა ვაქტებდა დანიშნებიან, რომ მელთაც არ ექნებოდნენ მათთან-კონ საწოვადე. მათ დაეღებულნი ექნებათ ვადასცენ მუნდირებს და ხარჯის მკრებავთ სიგები, რომელშიაც მოსხენებული იქნება თეთიოფრის მცხოვრებელზედ რამდენია შეწერილი ხარჯის ფული. მუნდირებს და ზემოაღნიშნულ ხარჯის მკრებავთ დაევა-ლებათ მოკრიბონ ხარჯი და წარადგინონ სახელმწიფო ხაზინაში.

თავი XV.—სათისათავო გარდასახვა.

მუხ. 31.—სათისათავო გარდასახვის მოკრება დასტავებული იქნება იჯარით. იჯარის გაცემა საერთოდ მოსაპრობო, ხოლო ყოველს სოფელში საათისათავო ხარჯი მოკრებათ ცალკე-ცალკე პირად მცხოვრებლებიდან. თუ რამე გაქირებებს ჰკრანომენ მცხოვრებლები, შეუძლიანთ სასამართლოს მიმართონ. ძლი-დატანებითი მუშაობა აღკრძალებულია. ხარჯი შეუძლიანთ გარდა ფულისა, მოსვლიათაც ვადახიანო.

საერთა განათლების მიუჯერო ყოველ ვილიეტისთვის საერთა განათლების მინისტრის მიერ განისაზღვრება. ფულის პარკონს არა აქვს ნება მოკრულს ვადასცენ მის სახლო, მიწა, სემუშაო იარაღი, შინაური საქონელი, თუ ამაზედ არის დამყარებული პატრონის ცხოვრება.

თავი XVI მუღამია წყამსხედველი კომისია პროკრატში შესდგება მაჰმადიანის თავმჯდომარეთაგან. კომისიაში წევრთა რიცხვი ქრისტიანთა და მაჰ-

